საქართველოს მთავრობის

დადგენილება №385

2024 წლის 18 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებაში (სსმ, №80, 06/07/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს საპატენტო კანონის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 47-ე მუხლის, „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 მუხლის მე-7 პუნქტისა და 54^1 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები:“.

2. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №1-ის მე-2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	1

“.

3. დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №2-ის მე-2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

2.	ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა და განაცხადის გამოქვეყნება (30 გვერდზე მეტ ყოველ დამატებით გვერდზე)	1

.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საფასურები გავრცელდეს გამოგონებისა და სასარგებლოს მოდელის იმ განაცხადებზე, რომლებზეც ამ დადგენილების ამოქმედების შემდგომ დაიწყება საქმისწარმოება.

მუხლი 3

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**